დიანა ვაშაყმაძე
ლექსები
თბილისი 2019 წ.

***

ჩუ! უჩინარმა ფლეიტამ ღამეს მელოდიები
ანდო
დამწუხრებული, ვით მოწყვეტილი
ვარსკვლავების გლისანდო...
ნისლებში კრთიან მომაკვდავ მზეთა ფერნაცვალები
ფრთები,
ისფერ ცრემლებს შეაშრობს ასტრებს ორკესტრთა
ქიმერები.
ზარების ზაფრით გადაუქროლებს ქარვის
ქარავნებს ქარი,
ჭმუნვა ვიოლთა აფრქვევს სიმკრთალეს მთვარის
და მინანქარის,
ოღონდ ამაღამ თვით ქარების ჰარმონიათა დროა,
ფორტე! მძვინვარე სამყაროები ორკესტრის
საწუთროა!!!

***

იისფერ ისხართა მონუსხულ ტბების
დაჭრილ გედებით მგლოვიარებავ!
უსაზღვროებით დანაწყლულვები,
ვით სანუგეშო ნელსი ზმარებას,
მე მივენდობი ტალღებს ბნედიანთ, -
სიმწუხარეთა ტბის პილიგრიმი!
გავივლი წყალზე, ვით ოფელია
შეშლილ სიმღერით და თეთრ გვირგვინით,
მწველ ქარიშხალთა თეთრ სამოსებით,
მოვიხვევ ვარსკვლავთ მქრთოლვარ მაქმანებს
და იცნობ - ჭმუნვით და გაოცებით -
შენს საუკუნო სატრფოს ანარეკლს
და ლაბირინთებს სამყაროსაღვრილს
თეთრი ვარდებით დამსხვრეულ სულთა,
დაფარავს კვნესა შეშლილთა ჯვარცმის
და შეშლილობა - ტრფობით ჯვარცმულთა.
(17.III.1980)

***

ორი კვიპაროსი, ცა და
                                    სურნელება
დაღამებულ ტევრის, დაღონებულ მთვარის...
 მზეთა დამფერფლავი ცეცხლი სულს ეცლება,
ყინულის ტბად იქცეს სული, ეს-ეს არის.
ორი კვიპაროსი ბჭისკარია ღამის,
ქარს ატანენ სიცილს ცივი ღვთაებანი,
მიაქანებს სიკვდილს, მეხთა დასაბამისს,
არაანგელოსთა ლოცვა-ვაებანი.
ღამემ გადმოღვარა მთვარის ტბიდან ვერცხლი,
უკვდავების შესმით სუნთქვა გაიყინა,
ობლად იცრემლება ორი სანთლის ცეცხლი,
წყვდიადს გუმბათის ქვეშ მწარედ გაეღიმა.

***

ლურჯი - ფერი ნისლის, ფერი ზამბახების,
            ფერი ჩუმი სევდის, ფერი მწუხარების,
            ბინდში ლურჯი ფერი -
            იების სურნელი,
            თქვენთვის დნობა ნელი,
            შეშლილობა ბნელი.
როცა სიკვდილს ელი, როგორც ხსნას და შვებას,
როცა გული ნატრობს მხოლოდ მწუხარებას,
როცა ცრემლი ფარავს ტკივილს და ვედრებას,
როცა ენა ირჩევს   ტანჯულ მდუმარებას,
შემიწყალებს ლურჯი - ფერი ცეცხლში ბნედის,
სიმღერის და კვნესის მომაკვდავი გედის,
ფერი ვარსკვლავთ თაღის, სერაფიმთა ხმების,
ფერი ზღვის და ზეცის, ნატვრის ხომალდების,
ფერი თქვენთა თვალთა, ფერი უკვდავების.

***

ო , რა უღმერთოდ მომენატრებით,
როდესაც სანთელს ქარი ჩააქრობს,
გაუგებარი კვდომა დამათრობს
სერენადებით და სონატებით
(ო, რა უღმერთოდ მომენატრებით!).
ისევ მიგზავნით სიკვდილს შეფარვით,
ნისლიან მწუხრში, ფარისევლურად:
რაც კი სითეთრე მთვარეს ებურა,
გაწვიმდა სულის შავ ნაფერფლავით
(ო, ნუ მიგზავნით სიკვდილს შეფარვით!).
ყელში - ყინულის კლანჭებით ღამე,
თვალებსაც ფერი უცხო დაედო, -
ფერი უღონო და უიმედო.
წყვდიადში ჭმუნვენ ანგელოსები
ჩამქრალ სანთლებთან თეთრ სამოსებში,
სანთლები თვალებს ცილს ვეღარ სწამებს,
მწარე დუმილით დაიწვა ღამე.

(VII .88)

(ჟ.ჩ.ს.)

როს შემოდგომის ყვავილებს ნისლი
უკანასკნელი შეხებით ბინდავს,
დახრილ წამწამთა ნელ სიიისფრით
დაუბრუნებლად, ვიცი, წარმწყმიდავ.
შორით მოსული, დარჩები შორი, -
დაღონებული სიზმარი მთების...
დაღამებისას სილურჯის ტბორი
ჩამოიღვრება ქრიზანთემების,
ჩუმად შემარხევს ზღვა - სიმწუხარე
და მჭმუნვარება შორით კვდომისა,
ისევ მივსებენ სილურჯით თვალებს
ნაზი ასტრები შემოდგომისა.

(25.VII.88)

***

კლდის ცეცხლოვან ჯადოქარზე
ქარი ასე მღერის:
„მდუმარე მთის ლურჯ მწვერვალზე
ვარსკვლავების ფერის
ალი ცეკვავს, კლდოვან ზარზე
ლანდი მშვენიერის
ჯადოდ იწვის მთვარის ფარზე,
ჯადოდ მყინვარწვერის.
ვინც იხილა ნისლში შუქთა
ცეკვა იდუმალი,
ვისაც თოვლთა და ქარბუქთა
ჰქონდა სასთუმალი,
ვინც მიაღწევს, თუნდაც წამით,
შორი ზეცის ზღურბლებს
და მთრთოლვარე ცაში ღამით
შეეხება ღრუბლებს,
ვინც კლდის ზარის აღსარების
რეკვას გაიგონებს,
სამუდამოდ ლურჯი მთების
ტრფობას შთაიგონებს“.

***

გრძნეული ქროლვა მიბნედილ სახეს
ააფრიალებს ალის ლანდივით.
მთვარეს იისფერ ხავსში გაახვევს
იდუმალების უტყვი მანდილი.
დავანთებ სანთლებს დათოვლილ ტევრში -
სულები მთხოვენ ცრემლიან ალებს.
ვით ვარდის ფურცლებს წიგნების მტვერში,
მთვარე მავიწყებს მათ სალოცავებს.
ვიღაცა მოდის მთვარის ბილიკით,
უხილავია ღამის სტუმარი,
არვის შეზარავს ჩემი ყვირილი,
მხოლოდ მექცევა ქვად სასთუმალი.
მე აღარა მღლის მიუსაფრობა
და აღარ მწეწავს ქარის ალერსი,
ღამეებს მიაქვთ ოცნებათ თრობა,
უიმედობა, ხმა სიმწარესი.
ღამეებს მოაქვთ შეუბრალებლად
სული წვეთ-წვეთად, სადღაც, ბნელეთში.
- მეც, ალბათ, მალე მიმაბარებენ
მოჭრილი ფრთებით სასუფეველში.

***

მივიწყებულ საყდარივით წამებულის
ჰეენებით,
მიუწვდომელი სიზმარივით მზირი მომეჩვენება:
შავმა შიშმა შთანთქა გული, გონება,
მხოლოდ ცისფერ მთვარეს ვანდე გოდება.
ამარიდეთ შავი ფერის მონება -
სიკვდილის ჟამს დავიწყების რიდება!
- იღვიძებდა შავი ნისლი, ბოროტი,
მიწვეული ჩრდილთა ჩუმი ქოროთი.

***

მე საიდანაც მოვედი, სხვა მზეთა გვალვიან
ტბორით
მოქანდა გზაბნეული ქარების გლადიატორი,
სივრცეთა უთავშესაფრო აფრები ქარდალეული
ღელავენ, როგორც ვარსკვლავთა თვალები
გადარეული,
მიხმობენ უსაზღვროების ცისფერი მინარეთები,
ნობათით გამოიქცევა ზღუდეთა გოგორეთები.
ამიტაცებენ გრძნეულნი მე ჩემი ქარიშხალები, ღამეებს
გამითენებენ სხვა მზეთა სხვა მაშხალები

***

ვით გაუქმებულ ტაძარში ღამის აღსარებანი
გასაოცარნი,
გამოსამშვიდი კვნესა ორღანის, უკანასკნელნი
ჩემნი ლოცვანი,
უკვე მკრთალდება ანარეკლები, სარკეში ვხედავ
ლანდებს მოწყენილს,
ქარი გამძარცვავს ნათლისმღებელთა უკანასკნელთა
ცრემლთა მოწმენდით.
უკანასკნელი სანთლის ნათელზე აღასრულებენ
წირვას მდუმარედ:
აღარც გოდება აღარაფერზე, აღარც სიმწარე და
სიმწუხარე.

4.10.88

***

და იწვა ანგელოზი, სიმწარის ეფინა
                    სახეს მკრთალი ნათელი -
ლანდთა ხომალდის მტანჯველ სიზმარის
                    უსაფრობის შავი აფრებით.
თუ უწუხნვიდა შეშლილი ხმობით სიკვდილის
                    ველურ ვარდებს მისანი
თვალებს, ავსებულს განწირულ ტრფობით
                    პელეასისა და მელისანდის?
ან თუ წვიმებში, ცრემლების მალვით, ოცნებათ
                    ბოროტ სამაგიეროს -
სვამდა ნიაღვრებს ცისფერ სიმწარის მთვარით
                    დაღვრილი პატარა პიერო?
და სიმარტოვის ოხვრას უნებურს, წყალთ
                    ფარისევლურ ბნედით ხმობილი,
ძირავდა ტბებში... მწყურს, ო, როგორ მწყურს,
                    ახლაც იქ ვიყო, ძირს დამხობილი,
და, რხევით შემწუხრების მანდილთა, იქ
                    გამოსამშვიდ ბელტად - გრძნეული,
გარდამეყაროს ნუშის ყვავილთა კორიანტელი
                    ნისლმორეული.
და როცა მოვა გამყინავ სუნთქვით ცის სასახლეთა
                    ყინულის რიდე -
რიდე სითეთრის და სიმსუბუქის, კვლავ მთვარის
                    შუქთა მწუხარე ხიდებს
გარდამატარებს ცისარტყელების სასწაულხმობა,
                    თითქოს მალული,
მოწყდა ვარსკვლავთა გარდანელებას უსაზღვრო
                    ჭმუნვა და სინანული.
და სამ ი პატოსს მარადი ტრფობის, ვიტყვი,
                    დავუნთე სულის სანთელი
და ქვესკნელების მიუსაფრობას ვერც მდუმარება
                    ქაოსამდელი
და ვერც სიშმაგე ქარიშხალების ვეღარ აღმივსებს
                    ვარსკვლავთცვენებით
მე, ვინც ვიყავი სუსტი ღვთაებრივ - ღმერთების
                    ნავსით დანაწყევლები.

***

სასტიკი იყო - მზის კორიდებით, ვით ოკეანე
სიმძვინვარესი,
მოსული მზერა - ჯერ გარინდებით, მუნ -
ქარიშხალთა მკვლელი ალერსით!
მზერა თუ ბორგვა და მდუმარება შენს თვალებს
მიღმა დაღვრილ ნაღველის, -
ყვავილთ უგონო ფერთმწუხარება ჭმუნვით
ვარსკვლავთა გარდაცვალების...
ფლეთდა კივილით სულის იალქნებს, შეშლილ
ოცნებით შუქარეული,
დაჭრილ სფინქსების გლოვის ლიანქრებს
ვერთვოდი შვიდი ათასწლეული.
ფეთქდნენ მთიების მძივები გულზე
და მწუხარებდა ნისლი თვალების,
უსაზღვროებით მქრალ სასწაულზე ფრთაა
თრთოლვილი ზღვით - აღსარების,
მოუთმენი და უზომოდ ნაზი ასფოდელების
გელოდი ველზე,
ვით ცას გამცდარი ფრენის ემბაზი, ვით
ღამის გედი ზღვის სარეცელზე
და თოვლით დაიბარდნა სული, თითქოს დაეშვა
ჩუმი საღამო,
მოხილვა იყო, ვით აღსასრული თუ აღმაფრენა
დაუსაბამო...
და ყოველ ღამე მიუსაფარი სული შენს კართან
წთოდა წვიმებად,
გაშიშვლებული, როგორც ზამთარი, ნასარი-
ეკლის შავ გვირგვინებად.
აფლეთდა ეკლებს სულს ნამქერებად იქ ქერუბიმი,
გიჟი და მთვრალი, -
ისე სწყუროდა სულს მოფერება, ისე ლანდობდა
შენით სიზმარი!
შენს კართან ღამეს ნისლავდა ლანდი, სევდის
ლოტოსთა იასამანვით,
არ იყო ბოლო უღონო ვარდნის და სული მოწყდა,
როგორც ვარსკვლავი.

***

შემოჰქრის - ბნედით ფოთოლთა ცვენის -
ღვარები ვერცხლის და ფერმკრთალობის,
ნისლებმოსილი სახება თქვენი -
თვრთინა სანთლისფერ ფერიცვალობის.
აბრისი მთვარის განსაკრთომელი,
შეხება თქვენი, ვით ღელვა ქარის,
რტოები, ჩემი ცრემლით სოველნი,
მწვანე ნიაღვრით ჩრდილავენ თვალებს -
ხმებად ვიქცევი ვიდრე გრძნეულის,
ნათელმხილველის თქვენის ზმანების,
სად ვილტოლვილებ - კვნესა ეული
ჩაძირულ ტაძრის ძოწის ზარების.
მნათე დაამსხვრევს მწუხრს ამეთვისტოს
შესანდობარის მქრალ ხმოვანებით.
სასუფევლის გზა მაინც მეღირსოს
თქვენთა წირვათა ცისკროვანებით!
კელაპტრებს მალვით არვინ მოიტანს
ჩემს უკანასკნელ ღამისთევაზე,
როცა შევერთვი უსაზღვროებას
სადაფის ვარდთა ელვარებაზე.

12.V.89

***

სადა ხართ, ყარიბნო ქარნო, შემსუდრეთ,
შემსუდრეთ სუსხით!
სულში ისევ მწუხარობს ნოემბრის ქარები - ნუსხვით
დაცვენილ ტყეთა ალში გახვეულ შემოდგომის.
ლანდთა მთვარეულ ბაღში ორქიდეები კვდომის
მალე ბინდებით დაფარვენ ბილიკთა ჩემ უვალობას
და შენს სიშორის კრეტსაბმელს იდუმალ
გამჭვირვალობას
მოაფენს უკანასკნელი შავი ვარდების ალმური!
ვით გამლღვალ მზეთა სასმელი, - ვნებული და
დაღალული,
როგორც ვარდების სურნელი - ძახილი
სიმხურვალით
მზით დაფერფლილი ისლის, -
რომ მწუხარეში ღამის -
მე მაშინ მოვალ წვიმების გაუთავებელ ამბორით
და სული გაიყინება სიმწრით და სიმარტოვით,
როცა სიზმარიდან ამოთლი ვიოლას
ქრიზანთემებით
და ხმებს, სულივით აღმოხდილს, გადახსნილ
ძარღვთა ხემებით
ქარი მოგტაცებს ტირილით!
საიდან ესმით ხეებს ჩურჩული გონებმიხდილი:
„ვერასდროსმოგხვევხელებს!“„ვერასდროს!“-
შმაგი სიზმარის
ბოდვა ჩამძახის გამქრალი, გაფითრებული
სიმწარით და უღონობით დამთვრალი.
მას შევავედრებ მაცხოვარს, ვის თვალებს ნისლი
უფარავს.
გამყინავი ხმით ჩემს ლოცვას, ღმერთო,
შეისმენ მუდარას?!
ო, რა სიჩუმით მოთოვს სულში - სინაზე სულთა,
მაშინ რომ უკმევდნენ ლოტოსს გვალვით
კორიანტელთა!
დაგეძებ, დაგეძებ მაინც. ლანდნი ქრებიან მწუხრში,
მზე უგვირგვინოდ ჩადის, ნოემბერია - სულში.

8.11.89.

***

შეღამების შემოვიხვევ პირბადეს, თითქოს
ლანდებს სამუდამო ოცნების,
სად წარმლეკავს,დამწვარს და ნაიარევს, მძვინვარება
მოგვურ ზღვათა მოქცევის.
იყო ხელთ თუ ფრთების ერთი აქნევა-ავლით
იქმნენ დაბინდული ტაძრები,
იყო ნელი კვდომით დაინანთევა და ბნდებოდნენ
მზენი გზნების ხანძრებით.
ახლა გეძებთ - სეფობაა მთოვარის, -
ლეთ მოისრულ კამარეთში დაკარგულს,
სად ნისლები მისტირიან ნოვალისს
და პეონთა სურნელებას დაზაფრულს.
ვინ გაატანს სავანეთა ბორეასს, ამრიზებულს,
წყურვილს უდაბნოეთის,
ან რა ვუყოთ ღამეების ბროლებას უთვალავი
სანთლის სიუცხოვეთი.
ღამე ისევ მიხმობს კვიპაროსებით, გავუდგები -
მარტო - ზეცის მისავალს
და სიკვდილი ტრფობის ავგაროზებით თვალთ
მეხვევა მოთქმით და მიმითვალავს.
წავალ ისე, ნატვრით გადარეული, არ დამცდება
ოხვრა შესაბრალისად.
სანამ მწუხრის ცისფერ ლოცვად ქცეული
სამრეკლოში ლანდავთ თასს გრაალისას,
მივედრები დედოფალთა მეგარონს - უთვალავთა
საუკუნეთ ღრეობის
უკუნს ქროლვის - იქნებ, იქ შევეფარო,
- ჯოჯოხეთურ ქართა აპოთეოზის.

19.V.89.

***

რისთვის მოვედი ამ ქვეყანაზე
უსაშინლესი მახინჯთა შორის,
თვალებდამწვარმა ამ სილამაზეს
რომ გავუწოდო ხელი მათხოვრის?
რისთვის მოვედი გაზაფხულების
სულშემხუთავი ნიაღვარებით,
ვის გავუმხილო სასწაულები
პოეზიათა და შეყვარების?!
რისთვის მოვედი ასე მაღალი,
არგაგონილი და არნახული,
თქვენთვის - გაჩენით დასამარხავი -
ვარ შემზარავი და უსახური!
მე მარტოობა დამასამარებს
და დამიტირებს სიჩუმის წირვა,
ოღონდ ერთხელაც შავ სულთა სვავებს
გადაუფრინოს ჩემმა არწივმა

***

(დევი თარხნიშვილის ხსოვნას)

М сердце – лунный камень,
Мрак очей глубок,
Мглой ли опечален,
Дым ли заволок?
 Кто-то белых лилий
Заплетет венок,
 Сядет у могилы
И прольет вино.
Кто-то к колокольне
В полночь побредет,
Звон во тьме утопит,
 К звездам тьма уйдет.
Филин, голос вещий
Ты подай в ответ:
Пламя все трепещет
На ветру? Аль нет?
Слово утешенья,
Не подавшим в срок,
Дождь прольет прощенье,
Светлых струй поток ...

დიანა ვაშაყმაძე - ლექსები

ჩუ! უჩინარმა ფლეიტამ
ისფერ ისხართა.
ორი კვიპაროსი
ლურჯი - ფერი ნისლის
ო, რა უღმერთოდ მომენატრებით
როს შემოდგომის ყვავილებს ნისლი
კლდის ცეცხლოვან ჯადოქარზე
გრძნეული ქროლვა მიბნედილ სახეს
მივიწყებულ საყდარივით
მე საიდანაც მოვედი
ვით გაუქმებულ ტაძარში
და იწვა ანგელოზი
სასტიკი იყო - მზის კორიდებით
შემოჰქრის - ბნედით ფოთოლთა ცვენის
სადა ხართ, ყარიბნო ქარნო
შეღამების შემოვიხვევ პირბადეს
რისთვის მოვედი ამ ქვეყანაზე
В сердце – лунный камень